ბუნებრივი გაზის ნასყიდობის (არასაყოფაცხოვრებო მიზნებისთვის)

ხელშეკრულება

ქ. თბილისი **„__“ „_____“ 2025 წ.**

ერთის მხრივ, სს „საქორგგაზი“ (შემდგომში – „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე ხეთაგურის სახით, ხოლო მეორეს მხრივ, ---------- (ს/ნ ---------) (შემდგომში მომხმარებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- სახით, მისამართი: ---------- ---------- აბონენტის ნომერი ----------, შემდგომში „მხარეებად“ წოდებულნი ვთანხმდებით შემდეგზე:

1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით „მიმწოდებელი“ აწვდის, ხოლო მომხმარებელი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს ბუნებრივი გაზის საფასური 1.29 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ყოველ 1 კუბ. მეტრ ბუნებრივ გაზზე;
2. მიწოდებისა და მოხმარების პარამეტრები: ბუნებრივი გაზის მიწოდების დაწყების თარიღი: _____ 2025 წელი, მისამართი, სადაც უნდა მოხდეს ბუნებრივი გაზით მომარაგება: განსაზღვრულია დანართი №1-ით;
3. ხელშეკრულების მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ურთიერთობა აწარმოონ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 09 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესებით“ (შემდეგში - წესები) განსაზღვრული პირობებით. მომხმარებელი ვალდებულია მოხმარებულ ბუნებრივ გაზზე ანგარიშსწორება აწარმოოს მიმწოდებლის მიერ ყოველთვიურად წარდგენილი ანგარიშსწორების ქვითარში ან/და შესაბამის ანგარიშ-ფაქტურაში (რომელიც შეიძლება მიეწოდოს მომხმარებელს ელექტრონული ფორმით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით - წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული საკონტაქტო მონაცემების თანახმად) ასახული საფასურისა და მითითებული ვადების მიხედვით.
4. ანგარიშსწორების ქვითარში მითითებულ ვადაში ბუნებრივი გაზის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შეუწყვიტოს მომხმარებელს ბუნებრივი გაზის მიწოდება, ხოლო მიწოდების აღდგენა უზრუნველყოს მხოლოდ მომხმარებლის მიერ ბუნებრივი გაზის ქსელიდან ჩახსნისა და აღდგენის ღირებულების (5 ლარი დღგ-ს ჩათვლით ბჯენით გათიშვისას, ხოლო 30 ლარი დღგ-ს ჩათვლით შედუღებით გათიშვის შემთხვევაში) გადახდის შემდგომ.
5. ანგარიშსწორების ქვითარში მითითებულ ვადაში ბუნებრივი გაზის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია მომხმარებელს დაარიცხოს პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული დავალიანების 0,04% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
6. მომხმარებელი ვალდებულია შეისყიდოს და მოიხმაროს ბუნებრივი გაზი მხოლოდ არასაყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. მოხმარების მიზნების ან/და წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მონაცემების ცვლილების შემთხვევაში მომხმარებელი ვალდებულია 1 თვის ვადაში აცნობოს მიმწოდებელს. წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი იხსნის პასუხისმგებლობას ინფორმაციის მიწოდებაზე.
7. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაში ბუნებრივი გაზის საფასური შეიძლება შეიცვალოს სემეკის მიერ დადგენილი წესების მოთხოვნების დაცვით, ფასის ცვლილების განხორციელებამდე 1 თვით ადრე საჯაროდ და მასობრივი საშუალებებით გამოცხადების გზით. თუ მომხმარებელი არ არის თანახმა შეცვლილ ფასით მიიღოს ბუნებრივი გაზი, იგი ვალდებულია ახალი ფასის ამოქმედებამდე შეატყობინოს მიმწოდებელს აღნიშნულის შესახებ, ხელშეკრულების შეწყვეტის მიზნით. დუმილი ჩაითვლება თანხმობად შეცვლილი ფასით სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებაზე.
8. თუ მომხმარებელს სურს ფასის ცვლილების წერილობით გაფორმება იგი მიმართავს მიმწოდებელს, რომელიც უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებაზე დამატებითი შეთანხმების გაფორმებას.

9. მომხმარებელი თანახმაა წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მისი საკონტაქტო მონაცემები მიეწოდოს ელექტროენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორში მომსახურე საწარმოებს (სადაც იგი რეგისტრირებულია მომხმარებლად და გააჩნია შესაბამისი აბონენტის ნომერი).
10. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომხმარებლისათვის ბუნებრივი გაზის უწყვეტი, საიმედო და ხარისხიანი მიწოდება კანონმდებლობისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად.
11. ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინება მხარეებს მიეწოდებათ ამ ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ იურიდიულ მისამართზე ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ერთი კალენდარული წლის ვადით. თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ერთი კალენდარული თვით ადრე წერილობით არ შეატყობინებს მეორე მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ, ხელშეკრულება გაგრძელებულად ჩაითვლება ყოველი მომდევნო კალენდარული წლის ბოლომდე.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„მიმწოდებელი“
სს „საქორგგაზი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 208147637
იურიდიული მისამართი:
საქართველო, ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №13
სს „საქართველოს ბანკი“
ა/ა GE81BG0000000297700500
ბანკის კოდი BAGAGE22

„მომხმარებელი“
დასახელება ----------
საიდენტიფიკაციო ნომერი: ----------
იურიდიული მისამართი: ----------

დირექტორი:

ალექსანდრე ხეთაგური

დირექტორი:

-